ოთხშაბათი, 1919 წ. იანვრის 15 № 10

წლიწადი მეხუთე

ოთხშაბათი, 1919 წ. იანვრის 15 № 10

ფასი თბილისში და პროვინციაში 1 მან. რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

გუშინ დილის 12 საათზე თბილისში გაიმართა საქართველოს ჯარების პარადი. მონაწილეობდნენ ჯარის ყველა ნაწილები.

პარადი მიიღო ნოე ჟორდანიამ.

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ინგლისელების (სიპაები) ჯარი. რიცხვით 1,000 კაცი.

მთავრობის განკარგულებით თბილისის გუბერნიაში გარდა თბილისის და ბორჩალოს მაზრებისა 13 იანვრიდან სამხედრო წესები მოიხსნა.

11 იანვარს ინგლისელებმა დიუსელდორფი შეიპყრეს.

პოლონეთის უმაღლეს საბჭოს პოზნანის ობერ-პრეზიდენტად პრუსია-პოლონეთის სეიმის დეპ. ფონ-ტრამპზგუსკი დაინიშნა.

პოლონეთის ჯარმა ტორმისკენ დაიხია. ამით საფრთხე ელის რუსეთ-ბერლინის შუა მიმოსვლას.

რიგაში ლატიშების საბჭოთა რესპუბლიკა დაარსდა.

პეტროგრადის ციხოსნებში მღელვარებაა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ბერლინში სპარტაკელთა ბუდეები გაანადგურეს. მოკლულ-დაჭრილთა რიცხვი დიდია. დაპატიმრებულებში არის ლიბკნეხტის შვილი. როზა დიუქსენბერგი ჰამბურგში გაიქცა. დიდი ბრძოლაა სილეზიის და სხ. სადგურების ასაღებად. რესპუბლიკანური ჯარები ქალაქში კიდევ შევიდნენ. ახლა სიმშვიდე და წესიერებაა.

პრუსიით უკმაყოფილოა ბავარია, ვიურტემბერგი და ბადენის საჰერცოგო. მიზეზია არეულობის გაგრძელება, რაც ზიანს აყენებს.

გულმოკლულნი მეუღლე ეკატერინე მაქსიმეს ასული, შვილი ჟორჟიკა, ძმები: ნიკიტა და გიორგი, დაი ანასტასია, მამიდაშვილი ნესტორ ქუასელი, სიდედრი კასიანე თედორეს ასული ბოკერიასი, ცოლის ძმები: ივანე, ბიქტორ, მიხეილ და თედორე, ცოლის დები: ნინა და ოლია ბოკერიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობარ-ამხანაგთ მათთვის ძვირფასს და დაუვიწყარ

პავლე სპირიდონის ძე ჩიტაიას

გარდაცვალებას, რომელის გამოსვენება საკუთარ სახლიდან (ქ. ფოთი ლიალინის ქუჩა) მოხდება ხუთშაბათს, ნაშუადღევს სამ საათზე 16 იანვარს. დაკრძალვა ადგილობრივ სასაფლაოზე.

2—2019—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა

დღეს, 15 იანვარს წარმოდგენილი იქნება:

მარგალიტის მაძიებელნი

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

16 იანვარს „აფრიკანკა“, 18 იანვარს „კამორრა“, კვირას, 19 იანვარს დილით „რიგოლეტტო“, საღამოთი

ლოტბარ სტოლერმანის ბენეფისი

რუსლან და ლუდმილა

გამოვიდა გასაყიდათ

საქართველოს კედლის კალენდარი 1919 წლის.

ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენაზე.

კალენდარი არის დიდი ზომისა როგორც გამოდიოდა „Закавказскій календарь“-ი. კალენდრის გარე კანზე მოთავსებულია ეროვნული და რევოლიუციონური დროშა, ნ. ნ. ჟორდანიასი და კარლო ჩხეიძის სურათები, საქართველოს ღერბი და სხვა. გარე კანი დახატულია ფერადი საღებავებით იაკობ ნიკოლაძის მიერ.

კალენდარის ზედა პირზე მოთავსებულია ფერადი საღებავებით საქართველოს ღერბი საპრემიოთ დახატული მხატვარი შარლემანისაგან.

კალენდრის ფასი თბილისში ცალობით 10 მან., გამყიდველებს დათმობათ 9 მან.

კალენდრის საწყობი: მთავრობის სტამბა, კალოუბნის ქუჩა, № 5.

1—95 1

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

1919 წელ. | წლიწადი მეხუთე | 1919 წელ.

მორიგ მასალის გარდა გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული

რომანი **„ტრფობა წამებული“** რომანი

გაზეთის ფასი:

წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.

მიიღება ხელის მოწერა

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე

გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 6, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო“. ტელეფონი—15—73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

დამფუძნებელი კრება

დემოკრატიულ სახელმწიფოს ნიშნობლივი თვისება იმაში გამოიხატება უპირველესად ყოვლისა, რომ მართვა-გამგებლობის საქმე ამა თუ იმ სახით თვით ხალხს აქვს მინდობილი და ყოველი აქტი სახელმწიფოებრივ მნიშვნელობისა და დანიშნულებისა არის ასრულება ხალხის სურვილისა და ნებისყოფისა.

დედა-მიწის ზურგზე მოიპოვებიან ისეთი სახელმწიფონი, სადაც ხალხი მართებლობს და კანონმდებლობს პირდაპირ, უშუამავლოდ, იმ წესით, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ხმის მიცემით—პლებისციტით. ხოლო უმეტეს ქვეყნებში ხალხთმართველობის იდეა განხორციელებას ჰპოვებს პარლამენტარიზმის საშუალებით: ერი განაგებს და ბრძანებლობს დელეგაციის სახით, რწმუნებულების წარგზავნით უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში.

სახელმწიფოს ყოველდღიურ მუშაობაში და აქტებში ხალხის ზრახვათა დაკმაყოფილება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიჩნეული, უკეთუ თვით ფორმა და წყობილება სახელმწიფოისა იმავ ხალხისგან იქნება ნაჩვენები და განზომილი. სახელმწიფოს შენობას უნდა დაედვას მტკიცე და შეურყეველი საფუძველი, რომლის ყოველი კუთხედი ხალხის მიერ წინდაწინვე ნავარაუდევი და გათვალისწინებულია.

ახალ, ან და აღდგენილ სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის ერი იწვევს დამფუძნებელ კრებას—უზენაეს ორგანოს, რომელიც საფუძველს უყრის სახელმწიფო ცხოვრების ყოველ დარგს, დროებითსა და წარმავალ წესებს მტკიცე და სამარადისო დანიშნულებას აძლევს და საბოლოოდ განამტკიცებს სახელმწიფო წესწყობილებას.

დამფუძნებელი კრება იმუშავებს კონსტიტუციას, იგი ჰქმნის ძირითად კანონებს, სახელმწიფო მართვა-გამგებლობას სათავეში რომ უნდა დაედვას; დამფუძნებელი კრების დანიშნულებას შეადგენს სახელმწიფოს წესწყობილების ტიპის გამონახვა, იგივე აძლევს ქვემდებარე დაწესებულებებს სახელმძღვანელო გზას სოციალურ და ეკონომიურ კანონმდებლობისას; საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში დამფუძნებელი კრება მკვიდრ ნიადაგზე ამყარებს სახელმწიფოს უფლებრივ მდგომარეობასა და სუვერენიტეტს და კულტურული კაცობრიობის ოჯახში სათანადოთ აძლიერებს სახელმწიფო ერთეულის გავლენასა და მნიშვნელობას.

ასეთი კრების მოწვევაა განზრახული ჩვენს სამშობლოში მარტის პირველ რიცხვებში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ დამფუძნებელ კრების მოწვევა უდიდეს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოვლენად ჩაითვლება; ამ კრებულის წინაშე წარსდგება საქართველოს პარლამენტი და მასთან პასუხისმგებელი სამინისტრო და ცხრა თვის ნამოღვაწარის ანგარიშს ჩააბარებენ. საქართველოს ხალხის რჩეულნი განიხილავენ ყველა აქტებსა და განკარგულებებს პარლამენტის და მთავრობის მიერ გამოცემულს, მათვე წარედგინებათ 26 მაისის დეკლარატიული აქტი, რომლითაც დამოუკიდებელმა საქართველომ ყველა სახელმწიფოებს აცნობა რუსეთის ულიდან განთავისუფლება და პოლიტიკური სუვერენობის აღდგენა.

დამფუძნებელი კრების გახსნისთანავე საქართველოს პარლამენტი და მთავრობა გადადგომილად გამოცხადდება და უზენაესი ხელმწიფება ამ კრებულის ხელთ გადავა. დამფუძნებელი კრების უფლება განუსაზღვრელია: მას შეუძლიან სავსებით, ან ნაწილობრივ გააუქმოს პარლამენტისა და მთავრობის სახელმწიფო აქტები, მისვე უდავო კომპეტენციას ეკუთვნის შეწყნარება და დადასტურება ამ აქტებისა. დამფუძნებელი კრება იწყებს ახალ ხანას სახელმწიფოს ცხოვრებაში და ძალუძს ძირიანფესვიანად გარდაქმნას სოციალ-პოლიტიკური წყობილება და ურთიერთობა, რასაკვირველია, ობიექტიურ შესაძლებლობის ფარგლებში.

სახელმწიფო უფლების მხრივ წარსულ კანონმდებლობას და საზოგადოთ პოლიტიკურსა და საერთაშორისო აქტებს თავისი მნიშვნელობა და ღირებულება არ ეკარგება, მაგრამ დამფუძნებელი კრების მიერ მათი მიღება და დამტკიცება იურიდიულ საბუთებს ზნეობრივ ძალასაც შემატებს. ავიღოთ, მაგალითად, თუნდ უდიდესი აქტი ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა—საქართველოს დამოუკიდებლობის მანიფესტი: ვინ არ იცის, რომ ეს აქტი არის შედეგი ქართველი ხალხის ერთსულოვანი აღფრთოვანებითი მოთხოვნილებისა, ყველასათვის ცხადია, რომ საღი და შეგნებული ნაწილი ქართველი ერისა დღე-მუდამ იმის ცდაში იყო, რომ დაკარგული და თვითმპყრობელი რუსეთისგან ძალმომრეობით, სამართლიანობის ურცხვილო დარღვევით მითვისებული საქართველოს სახელმწიფოს საჭეთმპყრობელობა ქართველობისადმივე გარდაცემულიყო, მაგრამ ათასი ჩვენი მოძულე და „მთლიანი რუსეთის“ აღდგენის მოტრფიალე,—ყველა ეს ჩალხუშიანები, შულგინები, დენიკინები, ზურაბოვები—სიტყვითა და წერით ქვეყნად ჰფენენ შეუსაბამო ჭორს, თითქოს ქართველი ხალხი წინააღმდეგი იყვეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა, ცხარე ცრემლსა ჰღვრიდეს რუსეთისაგან განცალკევების გამო და მხოლოდ ერთმა მუჭა შოვინისტურმა ინტელიგენციამ მოახვია ხალხს არა-პოპულიარული სეპარატიული აქტი! თავის თავად ცხადია, რომ საზოგადოების ბნელი ნაწილისა და ორიოდე ქარაფშუტა პოლიტიკურ „მოღვაწის“ გარდა არავინ დაიჯერებს ამ ზღაპრულ რწმუნებას, მაგრამ თვითმყოფ საქართველოს დაბრმავებულ მტრებმაც და შეუგნებელ მასსამაც საბოლოოდ რომ შეიგნოს მთელი უაზრობა შეთხზული ჭორისა, დამფუძნებელი კრების გარდაწყვეტილებაც აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის დასადასტურებლად. წინდაწინვე ვუწყით, რომ დამოუკიდებლობის განმეორებითი მიღება დამფუძნებელ კრების მიერ იქნება დაფიცებული მანიფესტაცია განთავისუფლებულ საქართველოს მიმართ და იმ დღიდან პროვოკატორებსაც ენა ჩაუბმებათ, ხოლო მორალური მნიშვნელობა და სიძლიერე ხსენებულ აქტისა ერთი ათად გაიზრდება!

ზემოთქმულიდან ნათელი უნდა იყოს, რა დიდი და მრავალმხრივი მნიშვნელობა ექნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის შემდგომ განვითარებისათვის დამფუძნებელი კრების მოწვევას.

გასაგებია ის ინტერესიც, რომლითაც მთელი საქართველო შეხვდა დამფუძნებელს კრების მოწვევის ამბავს.

მიუხედავად ფრიად მოკლე ვადისა და ბევრ გარდუვალ დაბრკოლებისა დამფუძნებელ კრების არჩევნებში ქართველ ერმა ფხიზელი მონაწილეობა უნდა მიიღოს და ყველა, ვისაც კანონი უფლებას ანიჭებს, ვალდებულია ნაჩვენებ დროს გამოცხადდეს საარჩევნო ყუთებთან და შეასრულოს უსაჭიროესი მოქალაქობრივი მოვალეობა.

ჩვენს თაობას ბედნიერი წილი ჰხვდა დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობით. ჩვენ მონაწილენი ვართ ისტორიის იშვიათი მოვლენისა! დიდს მოვალეობას და პასუხისმგებას აკისრებს ბედი ქართველ ხალხს! უაღრესად გართულებულსა და გამწვავებულ საერთაშორისო განწყობილებაში ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას სახე და მიმართულება ეძლევა... საქართველოს სუვერენიტეტი უფლებრივ გამოსახულო-

ბას ჰპოვებს და კულტურულ დემოკრატიისაგან შექმნილ სახელმწიფო ფორმებს ეზიარება.

დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოებრიობას მტკიცე საფუძველი ეყრება და მასზე კედლების აღმართვა ქართველი ერის არქიტექტონიკურ ნიჭზეა დამოკიდებული.

რ. ინგილო.

სამუსულმანო საქართველოს

თავის ძმებს, მუსულმან ქართველებს, მოგმართავს დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს მთავრობა.

რამოდენიმე საუკუნის წინად თქვენ დროთა ვითარებით მოსწყდით ძველ საქართველოს და მას ჭირსა და ლხინში გამოეთიშეთ. მაგრამ თქვენი სულიერი კავშირი სამშობლო კერასთან, საქართველოსთან, არასოდეს არ შეწყვეტილა. თვით დაუძინებელი მტერიც კი თქვენ გურჯებათ ანუ ქართველებათ გიხსენიებდნენ. მიუხედავათ სასტიკი დევნისა, თქვენ დღემდის შეინარჩუნეთ მამა-პაპათა ენა და ადათები.

ქართველ ერს ერთი წუთითაც არ დავიწყებია თავისი დიდი მოვალეობა თავისი ძმების, მუსულმან-ქართველთა წინაშე. ყოველივე უბედურების ჟამს, ის თქვენს ჭირ-ვარამს იზიარებდა. როცა მსოფლიო ომის დასაწყისში, 1914 და 1915 წლებში აჭარა-ქობულეთსა და შავშეთ-ერუშეთს უსასტიკესი ჯალათის, რუსეთის მეფის ჯარები შემოესია და ააოხრა, მთელი საქრისტიანო საქართველო თქვენთან იყო სულით და გულით და თქვენი ვაების შემსუბუქებას ცდილობდა. სამუსულმანო საქართველო ვერ დაივიწყებს იმ ხანად თქვენი ძმების, ქრისტიან ქართველთა მოღვაწეობას.

მას შემდეგ ქართველმა ერმა მრავალი მწარე წუთი გადაიტანა. ჩვენ ვიხილეთ მტრის შემოსევა და ჩვენი იმ სოფლებისა და დაბა-ქალაქების აკლება. სამწუხაროდ, იმ ხანათ ჩვენს გვერდში არ აღმოჩნდნენ მუსულმანი ქართველები. მოყიდულ პირთა წყალობით ისინი გადაუდგნენ ქართველთა საქმეს და მით ხელი შეუწყვეს თავისი სამშობლო კერის, აჭარა-ქობულეთის და შავშეთ-ერუშეთის აოხრება-აკლებას.

დღეს მდგომარეობა საბოლოოდ გამოიცვალა. ქართველმა ერმა შესძლო თავისი საკუთარი სახელმწიფოს მოწყობა, დაამყარა თავისუფლება და ვერასოდეს ვერ შეურიგდება ძველი მონობის აღდგენას. მარა ჩვენს თავისუფლებას ანახევრებს და ქართველ ერს უდიდეს ბოღმას ჰგვრის თქვენი დაშორება, ძმებო მუსულმანებო! სანამ აჭარა-ქობულეთსა, გონია ბათომსა და შავშეთ-ერუსეთში არ დამსხვრეულა მონობის ბორკილები, ქართველი ერი ვერ მოისვენებს. საბედნიეროდ დადგა ხელსაყრელი დრო, როცა თქვენ საშუალება გეძლევათ სამუდამოდ მოიპოვოთ თავისუფლება.

მოყიდული პირები თქვენ ჩაგჩიჩინებენ, თითქოს საქრისტიანო საქართველო თქვენს რჯულს ემუქრებოდეს. არ დაუჯეროთ ცილისმწამებელთ! დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში ყველა სარწმუნოება თანასწორია, ყველას უფლება აქვს თავის რჯულისამებრ ილოცონ თავისი სარწმუნოება მტკიცეთ დაიცვას. თქვენი ორგულნი გეტყვიან: საქრისტიანო საქართველო მუსულმანთა ადათებს უარჰყოფს და მათ ბრძოლას გამოუცხადებსო. ზურგი აქციეთ თქვენს ორგულთ და მტრებს. საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ყველა სარწმუნოების მოქალაქენი თანასწორი უფლებით სარგებლობენ: მაჰმადიანები, ებრაელები და სხვ.

თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს რომ: **სამუსულმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას.**

თვით მუსულმანი-ქართველების წარმომადგენელნი გამოსცემენ კანონებს, რომელთაც ისინი სამუსულმანო საქართველოში თავის გემოზე და თავისი სინიდისისამებრ მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებსა, მოაწესრიგებენ ადგილობრივ საქმეებს და მით დაამყარებენ თავის სამშობლო მხარეში ბედნიერებას.

ძმებო, მუსულმანებო! საბოლოო დამონების მსურველნი თქვენ გაშინებენ ქრისტიან ქართველთა შურისძიებით. ქართველ ხალხს, საქართველოს დემოკრატიას კარგათ გათვალისწინებული აქვს, რომ ასეთი ხმები ერთი მუჭა მოყიდული პირების მოღვაწეობას მიეწერება, ძველი მოძმეები თქვენსკენ მოეშურებიან არა შურის საძიებლათ, არამედ თავისუფლების დროშით და ძმური სალამით. ეს დროშა წინამორბედია თქვენი საბოლოო განთავისუფლების.

დადგა ბედნიერი წუთი თქვენი ბორკილების დამსხვრევის. ძმებო მუსულმანებო! მიმოიხედეთ გარშემო, გაითვალისწინეთ ის უბედურებანი, რაც თქვენ თავს დაგატეხათ რუსეთის მეფის მთავრობამ, ასწონ-დასწონეთ თქვენი აუნაზღაურებელი ზარალი ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში. მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა საბოლოოდ იცავს ხალხის ბატონობას და მის უზენაეს უფლებებს და მხოლოდ ის მოგანიჭებს თქვენ სრულ თავისუფლებას. მაშ აირჩიეთ თქვენი განთავისუფლების გზა საქართველოსთან შეერთებისა და მის ფარგლებში ავტონომიური სამუსულმანო საქართველოს მოგვარებისა.

საქართველოს მთავრობა დარწმუნებულია, რომ თქვენ, ქართველი მუსულმანები, გაჰყვებით თქვენს რჩეულ მეთაურთ, რომელნიც საბოლოოდ დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისთან დაკავშირება იხსნის სამუსულმანო საქართველოს და მის სრულ თავისუფლებას უზრუნველჰყოფს.

გაუმარჯოს სამუსულმანო საქართველოს ავტონომიას, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებში!

გაუმარჯოს მუსულმან - ქართველთა მონობისგან განთავისუფლებას!

საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

25 დეკემბერი.

მთავრობის ცნობები

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება და კანონპროექტი ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების დებულების შეცვლისა და დამატებისა მოწონებულ იქნა და წარედგინოს პარლამენტს.

—

ქართველებს მიეცათ ნება ბათუმში უნებართვოდ დაბრუნდენ.

—

გამოცხადდეს, რომ ყოველივე საქონელი, შემოზიდული საქართველოს პორტებში, სრულიად თავისუფალია რეკვიზიციისაგან,

ის პირნი, რომელნიც ამას არ შეასრულებენ მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში.

—

მოიხსნას სამხედრო წესები თბილისის გუბერნიაში გარდა თვით თბილისისა და ბორჩალოს მაზრებისა 13 იანვრამდე.

—

საქართველოს რკინის გზებზე მოიხსნება სამხედრო წესები, ამა წლის 21 იანვრიდან.

ქრონიკა

◆ **ომის მსხვერპლნი.** იანვრის ხუთამდე ბრძოლის ველიდან ჩამოყვანილია 1398 დაჭრილი, ნაჭადარი გვარდიელი და ჯარისკაცი.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის** მიღება გადაცემა საქართველოს გარედ კიდეც განახლდა.

◆ **სროლა ახალ წლის ღამეს.** მიუხედავად გენერალ გუბერნატორის განკარგულებისა თბილისში ახალ-წელიწადს დიდი თოფის სროლით შეეგებნენ.

◆ **რკინის გზა სადაო ადგილებში.** დროებითი ზავის პირობის და მიხედვით რკინის გზა სადაო ადგილებში ბოლომდე ე. ი ს. შაგალამდე საქართველოს რესპუბლიკის განკარგულებაში რჩება. ამ დღეებში მთავრობის განკარგულებით იქ მოსამსახურენი დაბრუნდნენ.

◆ **საქალაქო არჩევნებისთვის.** ვინც საარჩევნო სიაში არჩეული არ არი შეუძლიანთ გამოცხადენ ცენტრალურ ბიუროში შუა (სომხის) ბაზარი № 62. სიების შესავსებლად ბიუროს მიერ დატოვებულია საკმაო შტატი აღმწერლებისა. ამრჩეველთა სიების გამოქვეყნების შემდეგ ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებში მოეწყობა 13 პუნქტი, სადაც გამორჩენილებს შეეძლებათ ჩაწერა. ტექნიკურ დაბრკოლების გამო საარჩევნო სიები მხოლოდ ქართულად და რუსულად დაიბეჭდება.

◆ **ქალაქის სამკითხველო.** ქალაქის თვითმართველობის დადგენილებით. კვირა უქმე დღეებში სამკითხველოდან აბონიმენტებით საკითხავ წიგნების წაღება აღარ შეიძლება. სამკითხველო ღია იქნება მხოლოდ ჟურნალ-გაზეთების საკითხავად.

◆ **ტრამვაის შემოსავალი.** ტრამვაის შემოსავალი რომელმაც სათბობი მასალის შემოზიდვისა გამო 50,000 მან. მიაღწია, უკანასკნელ დღეებში ვაგონების გაფუჭების მიზეზით 40,000 მ. დაიწია.

◆ **დაჭერილი სომხები.** საგანგებო კომისიამ გენერ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით განიხილა საქმეები დაჭერილ სომხებისა. ნაწილი უკვე გაანთავისუფლეს, ნაწილი როგორც რესპუბლიკისთვის მავნე პირნი გადასახლებულ იქნებიან საზღვარ გარედ ნაწილი კი ციხეში, 6 თვით არის დაპატიმრებული.

◆ **საქართველოს წითელი ჯვრის** საზოგადოებას 50,000 მან. შემოსწირა რუსეთ-სპარსეთის ნავთის მრეწველობის ამხანაგობა „რუპენტომ“ და 100 მან. ნ. გ. მდივანმა.

◆ **მისაბაძი მაგალითი.** იერემია გულისაშვილმა თავის გარდაცვალებულ შვილების ვახტანგისა და მიტოს სახსოვრად გიორგი წმინდის წიგნთსაცავ ათი თუმანი შესწირა.

◆ **ახალი გაზეთი.** გუშინ თბილისში გამოვიდა რაჭა-ლეჩხუმ სვანეთის თბილისის კომიტეტის ორგანო. „რაჭა ლეჩხუმ-სვანეთის ხმა“.

— გუშინ თბილისში გამოვიდა სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ორგანო. „სამუსულმანო საქართველო“, გაზეთი გამოდის ბათუმში გაზეთი ნახევარი ქართულია და ნახევარიც თათრული.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო „მასალები რკინის გზათა უწყების ტერმინოლოგიისთვის. რკინის გზათა მოხელეთათვის სახელმძღვანელოდ“. წიგნი შედგენილია გზათა სამინისტროს სატერმინოლოგიო კომისიის მიერ. დაბეჭდილია საეფო ქაღალდზე, შეიცავს 44 გვერდს და ჰღირს სამი მანეთი.

◆ **ძარცვა.** 13 იანვარს ბებუთოვის ქ. № 52 ალიხანოვის სახლში შევიდენ რამოდენიმე ბოროტ-მოქმედნი და წაიღეს 100,000 მ.

◆ **ძარცვა.** 13 იანვარს ღამე ა. არაბოვის სახლში საპიორის შესახვევი № 3 შეიჭრენ რამოდენიმე შეიარაღებული პირნი და წაიღეს 28050 მან. ფულად და სხ. და სხ. ნივთები 16,000 მანეთისა.

◆ **ღვინით ვაჭრობა.** დღეიდან იმ ღვინის საწყობებს, რომელთაც დღემდე ნება არ ქონდათ ღვინის გაყიდვისა ნება ეძლევათ გაყიდონ.

◆ **დახმარება სომხებს.** „მშაკის“ ცნობით ამერიკამ სომხეთის ასაღორძინებლად 500 მილიონი გადასდო და 100 ინსტრუქტორი.

◆ **ინდოელების ჩამოსვლა.** გუშინ თბილისში მოვიდა ინდოელების (სიპაები) ჯარი. დაახლოვებით 1000 კაცი.

◆ **სამხედრო წესების მოხსნა.** მთავრობის განკარგულებით თბილისის გუბერნიაში გარდა თვით თბილისისა და ბორჩალოს მაზრებისა, ამა წლის 13 იანვრიდან მოიხსნა სამხედრო წესები.

— აგრეთვე საქართველოს რკინის გზებზე სამხედრო წესები მოიხსნა.

◆ **ქსრთველების შესვლა ბათომში.** მთავრობის დადგენილებით ქართველებს ბათუმში შესვლა უნებართვოდ შეუძლიათ.

—

შეცდომის გასწორება

გუშინდელ №-ში მოთავსებულ სამტრედიიდან მოსულ ცნობაში სწერია: დააპატიმრეს კატო მიქელაძე —უნდა იყოს კატო მიქაძე და სხ

მხატვრული ქრონიკა

◆ **„ცისფერი ყანწები“.** მოკლე ხანში პაოლო იაშვილის რედაქტორობით გამოვა „ცისფერი ყანწები“ დიდ ტომად.

◆ **სპარსული პოემა „ინტა“** (5 თავით) დასწერა პოემა სანდრო ჩაჩიკაშვილმა.

◆ **ბელლეტრისტმა ინ-ბანმა** დასწერა დრამა „გიორგი ბრწყინვალე“ სიუჟეტი საქართველოს ისტორიიდან.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს იდგმება „მარგალიტის მაძიებელნი“. ხუთშაბათს, „აფრიკელი ქალი“, შაბათს „კამორრა“, კვირას დილით „რიგოლეტტო“, საღამოთი—„რუსლან და ლიუდმილა“.

◆ **„ტარტო“-ს დრამა.** პარასკევს, —„მადონნა და ვაკხანკა“ შაბათს— „ჩვენი უბნის კომისარი“ კვირას დილით „თავადი სერებრიანი“ საღამოთი „ზვერინოე“.

პროვინციის ცხოვრება

◆ **ერწო.** ადგილობრივი სომხები ათას ჭორებს ავრცელებენ ინგლისზე. —დგება ახალი რაზმი.

◆ **ჭიათურა.** ქალაქთა კავშირისგან ქალაქმა შეიძინა ასი საწოლი და სააფთიაქო მოწყობილობა. გაიხსნა აფთიაქი.

განცხადება

თბილ., აგრეთვე თბილისის, თელავის და გორის მაზრების გენერალ-გუბერნატორისა:

ვაცხადებ ქალაქ თბილისის, აგრეთვე თბილისის გუბერნიის ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ რადგანაც ახლო-მომავალში უნდა მოხდეს დამფუძნებელ კრების არჩევნები. ჩემგან ნებადართულია, წინასწარი კრებები სიების შესამუშავებლად და საარჩევნო კომპანიისათვის მოსამზადებლად.

მილიციონერებს ევალებათ ხელი შეუწყონ ასეთ კრებებს.

გენერალ-გუბერნატორი
მაღლაკელიძე.

საქართველოს ჯარების პარადი

გუშინ, თბილისში საქართველოს ჯარების პარადი გაიმართა. დილიდან დაიწყო ქუჩებში გამოსვლა ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ჯარის სხვა და სხვა ნაწილებმა. შუადღისას 12 ს., შოთა რუსთაველის ქუჩა სასახლიდან წყნეთის ქუჩამდე სავსე იყო ჯარებით, პარადში თითქმის ჯარის ყველა ნაწილები ღებულობდა მონაწილეობას.

ყურადღებას იპყრობდა ცხენოსანი პოლკი, რომელსაც წინ ომში მტრის ტყვიისაგან დაგლეჯილი, დროშა, მიუძღოდა. პარადში მონაწილეობა მიიღო ქართული ლეგიონის ერთმა ნაწილმა ბ. ლეო კერესელიძის მეთაურობით.

შუადღის 12 საათი იქნებოდა, სასახლიდან გამოვიდა თავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიჰმართა ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ჯარებს, მათ სალამი უძღვნა საქართველოს სახელით და რწმენა გამოსთქვა, რომ ისინი კვლავ თუ კი საჭირო იქნება, მკერდით დაიცავენ თავიანთ განახლებულ სამშობლოს. მისი უკანასკნელი სიტყვები ჯარის „ვაშას“ ძახილმა დაჰფარა, გაისმოდა ხმები: „გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს საქართველოს მეთაურს“. უკრავდა მუსიკა და ისმოდა ეროვნული სიმღერები. შემდეგ ჯარის სხვა და სხვა ნაწილებმა სასახლეს წინ გაიარეს. ხალხი ჯარს ოვაციებს უმართავდა.

მთელი ნახევარი საათი მიმავალი ჯარი სასახლის წინ არ გამოლეულა.

ჯარი მოდიოდა ქვიურ სვეტებად. ნიავობით, მზიან ხალხით, ლომის ყიჟილით. ირხეოდა ჯანსაღი, მოქნილი ტანი ცეცხლიან თარეშობით. დარბაისლურად ეშურებოდნენ სარდლები, ბაირაღტრები. ელავდა საქართველოს სამფერი დროშა, უცნაური ცეცხლი ენთებოდა მზირალს. იყო განათება. ქინიანი გრძნობა და ნათელი სიამაყე.

ქუჩები სავსე იყო ხალხით და მცირე ხნით ტრამვაის მოძრაობაც შეჩერდა.

დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის

13 იანვარს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა: 1) საკანდიდატო სიები წარმოდგენილ იქნეს რაც შეიძლება მალე;

სამაზრო კომისიების შედგენა

2) ბორჩალოსა და თიანეთის მაზრებში დაევალოს გუბერნიის ინსტრუქტორს შეადგინოს ინსტრუქციის თანახმად საარჩევნო კომისია, რომელიც დაარსების შემდეგ იმოქმედებს ინსტრუქტორისაგან დამოუკიდებლად. კომისიის ორი წევრი ბ.ბ. ა. ახმეტელი და გ. ვეშაპელი არ იზიარებენ ამ დადგენილებას. მათ საჭიროდ მიაჩნიათ განსაკუთრებული რწმუნებულის დანიშვნა ამ მაზრებში.

ცენტრალურ პუნქტად ბორჩალოს მაზრებში განზრახულია იქნეს ს. ეკატერინენ-ფელდს.

კანდიდატების მიერ თანხმობის განცხადების შესახებ.

კანდიდატს შეუძლია თანხმობა განაცხადოს დეპეშითაც.

ინსტრუქტორები

დაადგინეს მიემატოს თბილისის გუბერნიის ინსტრუქტორთა რიცხვს კიდევ ერთი და შემდეგ ოთხივე ერთი მეორეს თანხმობით წავიდენ თბილისის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრებში.

ბათუმი

ბათუმის ოლქის საბჭოს კანცელარიის გამგედ მოიწვიეს გუბერნატორის კანცელარიის ყოფილი გამგე გინვული, საოლქო მილიციის უფროსად პოლკოვნიკი იონინი, ქალაქის მილიციის უფროსად მისი სიძე კობიევი, მის თანაშემწედ ყოფილი ბოქაული კობიზსკი.

საზოგადოდ ასეთი დანიშნულები ადგილობრივ მაჰმადიანობაში დიდ აღშფოთებას იწვევს.

დაშნაკური ინფორმაცია

„ოდესის ნოვ.“-ს სომხეთის რესპუბლიკის შესახებ აუწყებენ, შემდეგ ცნობებს, რაც ამოღებულია სტამბოლის სომხურ წყაროებიდან:

„ახალგაზდა სომხეთის რესპუბლიკის აღმშენებლობა ინტენსიურად ჰსწარმოებს. ხანგრძლივ დევნისა და ხეტიალის შემდეგ, სომხები მოსვენებას იმედოვნებენ. ამ ჟამად 2.000.000 სომეხი ითვლება, ადგილობრივ ცნობების მიხედვით, დევნის დროს (1914—18 წ. წ.) დაიღუპა 1.200.000 სომეხი (მოკლული, დახოცილი შიმშილისაგან და ჭირიანობით).

განზრახულია რესპუბლიკას სათავეში პრეზიდენტი რუზველტი ჩაუდგეს. ვიცე-პრეზიდენტად ნუბარ-ფაშა იქნება.

სამინისტროში რუსეთის სომხები შევლენ. რესპუბლიკის სატახტოდ იქნება ერევანი; თვით სომხეთის რესპუბლიკას შეადგენს ვილაიეთები: ყარსისა, არტაანის, სივასისა, არზრუმის, ვანისა და დიარბექირის.

სომხებს ჰყავთ გაწვრთნილი 75,000 ჯარისკაცი. სომხეთის საქმეებში დიდ მონაწილეობას იღებს ამერიკა და რომის პაპი, რომლის ელჩს დალჩის, სომხები დიდად უმადლიან“.

გენ. მაყაშვილის დეპეშა

„ახალქალაქისა და ახალციხის ჯარებმა ულრმეს მადლობით მიიღეს კომიტეტის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები.

არ შეგვიძლიან სიტყვებით გადმოგცეთ ის გრძნობები, რომლითაც სავსეა ჩვენი გული იმ მზრუნველობის გამო, რომელიც გამოიჩინეს ჩვენდამი ორგანიზაციებმა და შემომწირველთა იმ უძვირფასეს სამშობლოისა, რომლის დაცვისათვის სიცოცხლეს არ დავიშურებთ“.

გენ. მაყაშვილი.

ყარსის ოლქში

ყარსის ოლქიდან ოსმალებმა 2.100.000 ფუთი პურის ხორბალი გაგზავნეს ოსმალეთში. ახლა ინგლისელებმა წინადადებით მიჰმართეს რათა ყარსში 2.000.000 ფუთი ხორბალი დასტოვონ, ხოლო ჯარისთვის საჭირო 100.000 ფუთი წაიღონ. ოსმალეთის სარდლობამ ამაზე პროტესტი გამოაცხადა. ინგლისელებმა წინადადებით მიჰმართეს, რათა ოსმალებმა 1914 წ საზღვრამდე დაიხიონ.

ყარსის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა ინგლისელი პოლკოვნიკი, ხოლო ყარსის საოლქო უფროსად ს. ყორღანოვი.

ქალაქის საბჭო

13 იანვრის სხდომა

სხდომა გაიხსნა საღამოს 8 საათზე ბ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით.

ხმოსან ს. ბროცკის მიერ შემოვიდა შეკითხვა. 1) იცის თუ არა ქალაქის გამგეობამ, რომ 5 იანვარს ქალაქის ქუჩებზე იჭერდენ მოქალაქეთ მათ შორის ქალაქის საბჭოს ხმოსნებსაც? და და თუ იცოდა რა ზომები მიიღო? 2) იცის თუ არა ქალ. გამგეობამ, რომ ქალაქის აღწერა უკანონოდ მოხდა? და თუ იცის რა ზომებია მიღებული. თავმჯდომარე აცხადებს, რომ „ნაკაზის“ ძალით შეკითხვები 11 საათისათვის გადაიდო. მოხსენებას ადგენს ქალაქის თავი ელიავა საქალაქო არჩევნების შესახებ.

ქალ. თავი ელიავა. საბჭოს წევრნო, ქალაქის გამგეობამ ენერგიული ზომები მიიღო იმისათვის რომ, საქალაქო არჩევნები რაც შეიძლება მალე მომხდარიყო. თქვენ უწყით რომ საქარ. პარლამენტმა დაადგინა, რადგანაც ქალაქის საბჭო[illegible] ლურ დაწესებულებაშ[illegible] წინადადება მიეცეთ მათ ერთი განმავლობაში ახალი არჩევნები მ დინონ. ჩვენ ეს მივიღეთ მხედველ შა, მეორე მხრივ ჩვენ სახეში გვქ ის ანორმალური მდგომარეობა საბჭოში, რომელიც ხელს უშლის ჰოს მუნიციპალურ პლატფორმაზ შაობას. ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ლე მოგვეხდინა არჩევნები და ქ ქის საქმე მომავალ უფრო სა საბჭოსათვის ჩაგვებარებინა. ჩვენ დველობაში გვქონდა ის არა ნო ლური მდგომარეობა, რომელიც ბ აქ ძლიერ აწუხებს. ჩვენ ვიცო რომ თბილისის მოქალაქეთ სამხ წესების გამო იჭერდენ და ვაგონ გზავნიდენ. (ხმები ე.-დ. მხრივ, ფეთქებლებს), რაც მეტად აწუ ზოგ ჩვენ ამხანაგებს. მაგრამ ისიც ცოდით, რომ მცხოვრებთა მეორე წილი ბრძოლის ველზე იყო წას რაც ჩვენ დაგვაკლდებოდა, მაგ ყველა ამან ვერ შეგვაჩერა და ჩევნების დაჩქარება მაინც განვიზ ხეთ. ჩვენც ვიცით რომ ასეთ ანო ლურ მდგომარეობაში ბევრი და ბოდა ჩაუწერელი, მაგრამ ამისა ჩვენ დავტოვეთ საკმაო რიცხვი მწერლებისა, რომელიც შეავსებენ სიებს.

3 დღის განმავლობაში ჩაწ 65,000 ამომრჩეველი. აქედან 13 შესამოწმებელია დანარჩენი არა. დეგ თვით ცენტრალურ ბიუროში მოვიდა და ჩაიწერა დაახლო 2,000 ამრ. ასე რომ ამრჩეველთა ცხვი 80,000 მიაღწევს. თუ შარშან რიცხვი 117,000 იყო, აქ იყვენ ჯარისკაცები, სამხედრო მოხე სხვა და სხვა დაწესებულებებისა, გორც მაგ. „ზემგორი“, დღეს ის აღარ არიან.

უნდა განვაცხადო რომ სიები მოწმობენ იმას, რომ რომელიმე ერ ნება ძალად არ იყვეს შიგ მეტან ამ გვარად ბატონებო ჩვენ ვფიქრ 10 თებერვალს დავიწყოთ არჩევ

თავმჯდომარე. შეკითხვა ხომ ვის გნებავთ?

პ. გოთუა (ე. დ.) საინტერესოა ცოდეთ აღწერის დროს აქცევდენ არა ყურადღებას ქვეშევრდომო კანონს. და ჰსწერდენ თუ არა სი მათ ვისი შვილები იბრძოდენ რეზე საქართველოს წინააღმდ (სიცილი).

ელიავა. ქვეშევრდომობის კა კი ვაქცევდით ყურადღებას, მაგ საუბედუროდ არც ჩვენ და არც მწერლებმა არ ვიცოდით თუ შვილები იბრძოდენ ჩვენ წინააღმდ

ხუდადოვი (ს. რ.). ხმოსნებო, ჩვენ ქალაქის თ ა ვ ს ვე ვცნობთ, მესმის ეს რომ ეთქვა რამიშვილს, რომელიც ამ ბო დროს ყველასთვის ცნობილი მკა ენით ველაპარაკება, მაგრამ რო ამას ვისმენთ იმ ელიავასაგან, რო ლიც ჩვენ სულ გვპირდებოდა, ჩვენ დემოკრატიულ ინტერესებსა საბჭოს არ დაცილდებოდა, ეს კი კვირველია. ეს დასაშვებია როც გოთუა შექმნის არა ინტერნაცი ლისტურს არამედ ნაციონალის საბჭოს, რომელიც ბებია ბაბუებს წყებს ძებნას. (გოთუა, მეამბო მაგრამ აქ ეს შეუწყნარებელია. ნუ თუ შეიძლება დღეს არჩევნ მოხდენა როცა თბილისის მუდმ მცხოვრებნი ქუთაისის ციხეებში დან, როცა უზრუნველყოფილი პრესა. (ხმა ხულიგნებისა?) აქ ბა ნებო ცხოვრება ექნებათ არა მარ პარტიებს, ზოგიერთ ეროვნებათაც და ასეთ მდგომარეობაში შეიძ ქალაქის არჩევნები?

გეპშტეინი. (ს.-დ.) აღელვებუ რომ ინსტრუქციის ძალით პასპ ტებს არ სთხოვდენ ქართვ. და სთხ დენ სხვა ეროვნებათ. ესო, ამბ ორატორი, ნაციონალური ცენზის თხოვნაა რაც დემოკრატიას არ ეფერებაო. მას საჭიროდ მიაჩნია დაიდოს არჩევნები და ეს არა დე კრატიული კანონები უარყოფილ ნეს.

სემიონოვი. (კ. დ.) ბრალს ს გამგეობას იმაში, რომ მან არ მოუდგინა და არ გაუზიარა საბ არც შტატები და არც სმეტა (ხ ალბად მაშინ თქვენ დენიკინი გეს რებოდათ). გულის წყრომას გა თქვამს, რომ აღმწერლებს სიაში შეჰქონდათ ისინი, ვინც რუსეთის შევრდომობის მოწმობას აჩვენებ (რამიშვილი ადგილიდან მართალ ისიც ამ აზრისაა რომ ეს არჩევნ გადიდოს.

(დასასრული იქნება)

ეროვნული

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

საქართველო და საერთაშორისო კონფერენცია

1919 წელი მეტად საინტერესო და საგულისხმო ცვლილებებს უქადის საერთაშორისო ცხოვრებას. იყო მომენტები, როდესაც მეტად ძნელი იყო გათვალისწინება იმისა, თუ როგორ ჩამოყალიბდებოდა მომავალი საერთაშორისო ურთიერთობა. მაგრამ როგორი სიტუაციაც არ უნდა შეიქმნას, ერთი მოვლენის დაფარვა და გადაუჭრელად დატოვება ყოვლად შეუძლებელი გახდება: ეს არის ეროვნული მოძრაობის უმაღლესად გაძლიერება. ჩვენ ვხედავთ, რომ კარზე მომდგარ საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე ფართო მასშტაბით დაისმება ეს საკითხი და მაღალი სამსჯავრო, თუ ის მართლაც პირუთვნელ და საკაცობრიო საქმისათვის იკრიბება, შესაფერ განაჩენს გამოიტანს ამ სტიქიურ მოძრაობაზეც.

ცხადია, კონფერენციაზე არა ნაკლებ გადამწყვეტი მნიშვნელობის ბრძოლები გაიმართება ერთა შორის, ვინემ იყო ვერდენთან, მარნაზე ან კარპატებში და ამიტომ ყოველი სიცოცხლის ღირსი ერი და სახელმწიფო თავითფეხამდე შეიარაღებული წარსდგება საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე და გადაუშლის მას თავის წარსულს, აწმყო მდგომარეობას და აჩვენებს მას თავის ეროვნულ უნარსა და ინტერესებს. საქართველოს დელეგაცია გაემგზავრა კიდეც და ჩვენ არ ვიცით თუმცა, რით წავიდა, რა წაიღო თან, მტკიცე გარდაწყვეტილება ქართველი ერისა თუ მერყევი სოციალისტური პოლიტიკა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ჩვენს დელეგატებს დიდ ბრძოლას გაუმართავენ ჩვენი ყოფილი ბატონები, ჩვენი მეზობლები და ყველა ის სახელმწიფოები, რომელნიც ასე თუ ისე დაინტერესებულნი არიან ჩვენი ქვეყნით. ჯერ არ ვიცით რომელი რუსეთი წარსდგება ამ ტრიბუნალის წინაშე, მაგრამ ცხადია, უპირველესად რუსეთი გაგვიმართავს ბრძოლას და ჩვენც იძულებული ვიქნებით ეს ბრძოლა მივიღოთ. ეს იქნება ლიბერალური ბრძოლა. ცხადია, რუსეთი გადაჭრით მოითხოვს ჩვენი სუვერენობის გაუქმებას, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მას დაუპირდაპირდება ქართველი ერის თავგანწირული ნებისყოფა სუვერენობის შენარჩუნებისაკენ მიმართული და ამ ნებისყოფას გაუწევს ანგარიშს საერთაშორისო სამსჯავრო, რომელიც იძულებული იქნება დააკანონოს არსებული ფაქტი.

მაგრამ აქედან დაიწყება დიდი ბრძოლა ტერიტორიული საზღვრებისათვის და აქ დაგვეტაკებიან ჩრდილოეთით იგივე რუსეთი, სამხრეთით ოსმალეთი და სომხეთი და აღმოსავლეთით ადერბეიჯანი. ამ შემთხვევაში შეიძლება უფრო ადვილად და უმტკივნეულოდ დასრულდეს დავა რუსეთთანაც და ადერბეიჯანთანაც, ხოლო ოსმალეთი და სომხეთი უეჭველად დიდს პრეტენზიებს წამოაყენებენ პირველი—შავი ზღვის სამხრეთ ნაწილებისათვის აჭარა-ლაზისტანითურთ, ხოლო მეორე—ბორჩალოსა და მესხეთ-ჯავახეთისათვის. რით დასრულდება ეს შეტაკება, ძნელია მისი გათვალისწინება, მაგრამ თუ ევროპა მართლაც დაინტერესებული აღმოსავლეთის აღორძინებით, მან მხედველობაში უნდა იქონიოს ის როლი ამ მიზნის მიღწევაში, რომელიც შეუძლია შეასრულოს საქართველომ. ამიტომ საქართველოს ძლიერების კითხვა პირდაპირ დაუკავშირდება აღმოსავლეთის გაკულტუროსნების კითხვას და ამ შემთხვევაში ისტორიულ, ეროვნულ და სტრატეგიულ სახელმწიფოებრივ მოსაზრებათა გარდა საქართველოს სასარგებლოდ ილაპარაკებს საკაცობრიო მიზნები და აჭარაც, ლაზისტანიც და მთელი სამაჰმადიანო საქართველოც თავის ნამდვილ საბუდარს დაუბრუნდება.

ჩვენს დელეგაციას ამ ბრძოლაში მოუნდება დიდი შრომისა და ენერგიის დახარჯვა და რაც მეტს სიმტკიცეს, შეუპოვრობასა და ეროვნულ ინტერესების შეგნებას გამოიჩენს ის, მით უფრო ადრე გადასწყდება საქართველოს ბედი. ევროპა მეტად უკუღმართ ინფორმაციით იკვებებოდა სომხეთისა და საქართველოს შესახებ და ამ უკუღმართობის გამოსწორებისთვის საქართველოს წარმომადგენლებს უთუოდ მზად ექნებათ ყველა საჭირო მასალები და ფაქტები. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის დანიშნულებაც, რომელსაც საქართველოს დააკისრებენ ევროპის სახელმწიფოები, თუ, რასაკვირველია, საქართველომ დაუმტკიცა მათ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივობის გარეშე, შეუძლებელია ეს ხიდი, გადებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის სანდო იყოს. ყოველ შემთხვევაში ვინ იცის, რომ კიდევ არ გახდება საჭირო დიდი, გადამწყვეტი ეროვნული ბრძოლა სომხეთსა და საქართველოს შორის, რათა კულტუროსანმა კაცობრიობამ გაიგოს, თუ სად არის წყარო და ნიშან-წყალი სიცოცხლისა და იმედიანობისა.

და თუ ეს არა, მაშინ საქართველოს სტრატეგიული და ისტორიული საზღვრები უზრუნველყოფილ უნდა იქმნეს.

რაც შეეხება დანარჩენ სახელმწიფოებს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ინტერესები არასოდეს არ დაუპირდაპირდება არც ინგლისის, არც ამერიკის, არც საფრანგეთისა, გერმანიის და არც სხვა რომელიმე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს. აქ საქმის გართულება მოულოდნელია.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ მაინც ფხიზლად უნდა ვადევნოთ თვალყური იმ მოსალოდნელ პოლიტიკურ ცვლილებებს, რომელიც შესაძლებელია მოხდეს საერთაშორისო კონფერენციის გახსნამდე.

ი. ხანაშვილი.

ყოველდღიური პოლიტიკური და ეკონომიური გაზეთი

საქართველო

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ხელის მოწერის ფასი:

ერთი წლით . . . . 150 მანეთი.
ნახევარი წლით . . . . 75 „
სამი თვით . . . . 40 „
ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) . . 15 „

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.
ფოსტის ადრესი: თბილისი, გაზ. საქართველოს კონტორა, ფოსტის ყუთი № 76.
ტელეგრაფის ადრესი: თბილისი „საქართველო“.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უქმე დღეებში 10—1 საათ.

◆

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს წლის ბოლომდე მიეცემა

გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია
(კრებული წერილებისა)

სახელმწიფო თეატრის აწმყო და მომავალი*)

საბოლოოდ ჩამოშორდა საქართველო დიდს რუსეთს და ქართველი ერის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება თავის ელფერს ღებულობს, ეროვნულ სულსა და ხორცს ისხამს. მოისპო ის ბატონობა და ბრძანებლობა, რომლითაც ქართული ენა იხლუდებოდა და თითონ ქართველი თავის სამშობლოში, თავის მიწა-წყალზე მორჩილ მონათ იყო გარდაქცეული. ქართველი ერის შემოქმედება ფრთასა შლის, შეიხედეთ სამინისტროებში: მართლმსაჯულები ეჩქარებიან დროზე დაამზადონ ხალხის ზნე-ჩვეულებასთან შეკავშირებული კანონ-პროექტები, რომ მალე დააწყონ შეუფერებელ რუსის კოდექსებს თავი. განათლების სამინისტროც ჩქარობს ქართული სული ჩაჰბეროს გადაგვარებულ სასწავლებლებს და მოხარდ თაობას; ერთის სიტყვით, ყველგან და ყველას ეტყობა სურვილი აჩქარებულის ტემპით იარონ აღორძინებისკენ, რომ ამით უქმად ჩავლილი, დაკარგული დრო რუსეთის ბატონობისა, როგორმე აინაზღაურონ ხალხმა, რომ მტრისგან დამართული წყლული და ტკივილები მალე იქმნას დაამებულნი.

ამ საზოგადოებრივი მუშაობის სურათზე შავი წერტილივით გამოიყურება სახელმწიფო თეატრის დაწესებულება, რომელიც უნდა იყოს სარკე ქართველი ერის სულიერი ცხოვრებისა. აქ, ამ დაწესებულებაში, არც არავითარი მაჯის ცემა, არც სურვილი განახლებისა და არც უნარი, არა მოსჩანს რა, არავის არა ეტყობა რა. ვის უნდა მოეთხოვოს პასუხის გებლობა სახელმწიფო თეატრის უუნარობის და ვის ეუფლება ამ პასუხისმგებლობის მოთხოვნა?

რასაკვირველია, პასუხის მომთხოვნიც და ანგარიშისაც ამ დაწესებულების ბოქმედებისა არის მთავრობა; მაგრამ რადგანაც მთავრობას უფრო პასუხ საგები საქმეები აქვს ნატვირთი და თეატრისთვის არა სცალიან, ამ შემთხვევაში იმისი მოადგილეობას იკისრებს ქართველი საზოგადოება, რომელიც ანგარიშს მოსთხოვს მთავრობის მიერ დაყენებულ პირებს; და უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ანგარიში უფრო დაწვრილებითი და მსჯავრიც სასტიკი და მიუდგომელი იქნება.

თუ რას ფიქრობენ სახელმწიფო თეატრის მომავალზედ ის პირები, რომელთაც მთავრობამ ამ დაწესებულების ბედი ჩააბარა, ჩვენ არ ვიცით. ხოლო ეს კი ყველასთვის ცხადია, რომ ამ თეატრში შევიწროვებულია ქართული წარმოდგენები და ქართულ დასს ეთმობა კვირაში ერთი ან ორი დღე. აღარაფერს ვიტყვი ქართველ ოპერების წარმოდგენებზე; ათი-თორმეტი წლის წინად დაწყებული საქმე ქართულად ოპერების წარმოდგენისა ქართული მუსიკის მესაფლავეებმა სამუდამოდ დაასამარეს და დღეს ამ წარმოდგენების განახლებაზე ხომ არც არავინ ფიქრობს.

კარგი იქნებოდა კი, რომ მომავალში მაინც, ამ თეატრში ქართული დრამისა და ოპერის წარმოდგენები გაჩაღებულიყო. ამ დაწესებულებაში ჯერ კიდევ სავსებით სცემს მაჯა და ჰფეთქავს რუსული სული. ეს სული უნდა განადგურდეს ამ თეატრში, რომელიც ჩვენთვის, აგერ ნახევარი საუკუნეა, საწამლავად გარდაქცეულა, შხამს გვაწვეთებს ყურში და ჩრდილოეთის მტერ-მოყვარენი კი დღესაც მედიდურად გვიყურებენ და გაიძახიან,—ჩვენი კულტურით საზრდოვობთო.

ბოლო უნდა მოეღოს ამისთანა მდგომარეობას, — თორემ ქართველი ერი ვერას დროს ვერ შეჰქმნის თავის კულტურასდა მუდამ ჟამს უკულტურო ხალხის ჯუჯანში და საყვედურში იქნება. ამიტომ საჭიროა მთავრობის მიერ ამ თეატრში ჩაყენებული პირები, მომავალ სეზონისთვის, ეხლავე შეუდგნენ საქმის მოწყობას. ქართული წარმოდგენების მოწყობა ყოველ ეჭვს გარეშეა, ვინაიდგან დასის შედგენა არ დასჭირდება; ხოლო საჭიროა ქუთაისისა და თბილისის საუკეთესო ძალების შეერთება. შეუძლებლად მიგვაჩნია დავივიწყოთ კოტე მარჯანიშვილი და თუ შესაძლებელი იქნება, ალ. სუმბათაშვილიც. ეხლა იმათ აქ ფართე ასპარეზი აქვთ მოქმედებისთვის. უფრო რთულია ოპერების წარმოდგენების მოწყობა. ჩვენთვის ეს საქმე ჯერ ახალია, მაშასადამე აქ არც ტრადიცია, არც ტეხნიკაა. მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა დააბრკოლოს საქმე. რა ვქნათ რომ მომღერლები დახელოვნებულნი არ იქნებიან. მოიგონეთ ქართველ თეატრის აღორძინება, იქაც ესე იყო. აქაც, საქმე რომ გაჩაღდეს, ხალხიც გამოჩნდება. წარმოდგენის გამართვა ოპერებისა უკვე ნაცადია, ქართველი საზოგადოება მას სიამოვნებით ეგებება. ხოლო საჭიროა ამ საქმის მოთავეებმა შემოიკრიბონ გარს ყველა ქართული ძალები და ქართველმა საზოგადოებამაც ცოტა ნდობა გამოიჩინოს თავისიანებისადმი; ძალები მოიპოვებიან; უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვიყვანოთ სამშობლოში: ვანო ფალიაშვილი მეშინიან რომ უიმისოდ ეს საქმე არ ჩაუგდოთ ხელში ვიღაც სამოსუდებსა და ურბანებს. ვანო დახელოვნებული ლოტბარია და საოპერო ლიტერატურაც პრაქტიკულად აქვს შესწავლილი. მიშა ნანობაშვილი, რომელიც ამ ჟამად საფრანგეთშია; აქ იმყოფებიან: ვანო სარაჯიშვილი, ინაშვილი, ლორთქიფანიძე და სხვ. არიან ქალებიც, რომელთაც ქართული საზოგადოება ჯერ არ იცნობს და უსწავლიათ კი სიმღერა საზღვარ-გარეთაც კი; ამათში მუსხელოვისა მშვენიერი კოლორატურის სოპრანო, კალანდაძისა და სხვები; ამ საქმის გაძლიერება სხვა კომბინაციითაც შეიძლება; ან სახელმწიფოს, ან თეატრის ანტრეპრიზას შეუძლიან იყოლიოს იტალიელთა კვარტეტი, ხოლო არას გზით რუსული კვარტეტი,—ეს საქმეს შეაფერხებს; თეატრის გუნდს წინადადება უნდა მიეცეს შეისწავლონ ქართულად რეპერტუარი და ვისაც სურს, დასში დარჩება: ოპერები უკვე ნათარგმნია; თუ არა ვსცდები ათამდე; ამ ათიდან ნაცადია: სევილიელი დალაქი, ფაუსტი, დემონი, კარმენი, ფიგაროს ქორწინება. არიან ოპერები, რომლებიც ქართველ ცხოვრებას ასე თუ ისე ენათესავებიან:ესენი არიან: „ღალატი“ იპოლიტოვ-ივანოვისა; „კავკასიული ტყვე“ კიუი ცეზარისა „დემონი“, რუბენშტეინისა ქართული ოპერები: არაყიშვილისა, ფალიაშვილისა, გოგნიევისა.

ყველა ამ ნაწარმოებებს შეუძლიანთ შეავსონ ქართული რეპერტუარი, გამოაღვიძონ საზოგადოება და ჩაჰბერონ გამამხნევებელი სული.

ია კარგარეთელი.

---

*) რედაქცია სავსებით არ იზიარებს პატივცემული ავტორის ესთეტიურ რადიკალიზმს. **რედ.**

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

თეთრ გვარდიელთა დამარცხება

ხარკოვი. 11 იანვარი. კიევიდან პეტლიურას ინფორმაციული ბიურო იუწყება, რომ ხერსონის გუბერნიაში გრძელდება აპოსტოლოვთან დამარცხებულ თეთრგვარდიელების დევნა. პეტლიურას ჯარმა სადგური იავტინო დაიჭირა.

გერმანელები ბრესტ-ლიტოვსკში

ბრესტ-ლიტოვსკ. 11 იანვ. ბრესტ-ლიტოვსკს გერმანელები ორი კვირის შემდეგ დასცლიან. ქალაქში ძალაუფლება, უკრაინის კომისარის ხელში გადავა. ლეგიონერებმა ბიალისკენ დაიხიეს. ვოლინსში და აღმოსავლეთ გალიციაში ბრძოლა უკრაინელებსა და პოლონელების შორის გრძელდება.

მინსკი

მინსკი. 11 იანვ. პოლონური გაზეთების ცნობით, უკრაინელები ლვოვს ყუმბარებს უშენენ. ქალაქში არაა განათება, წყალი და სურსათი. პოლონეთის აღმოსავლეთ გალიციის ჯარის მთავარსარდალმა განაცხადა, რომ უკრაინელთა მხეცობის გამო ის იძულებულია მკაცრად მოეპყრას ტყვეებს.

ვარშავა

მინსკი. 10 იან. ვარშავიდან ჩამოსულნი იუწყებიან, რომ ვარშავის ქუჩებზე დიდი ბრძოლებია. გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაცია. ამბოხების ჩაქრობის შემდეგ გარეგნულად სიწყნარე ჩამოვარდა ჯარში და მცხოვრებთა შორის მთავრობისადმი უკმაყოფილებამ და აღშფოთებამ იჩინა თავი. მდგომარეობა მწვავდება.

წითელ-ჯვრის დელეგატების დახოცვა

ვარშავა. 10 იან. რუსეთის წითელი ჯვრის დელეგატების დახოცვის გამო პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ რადგან დელეგატები ვოსოკოვომოზოვეცკის იქითაა დახოცილი, სჩანს დელეგაცია ფარულათ ბრუნდებოდა უკან პოლონეთში. პოლონეთის განკარგულებით სწარმოებს გამოძიება.

რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა ინგლისში

ჰააგა. 8 იან. ინგლისში რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა ფართო ხასიათს იღებს. გაფიცულნი ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოითხოვენ.

პოლონეთში

ვილნო. 11 იან. ვარშავის გაზეთების ცნობით პოლონელ შავრაზმელებს სურთ მოახდინონ გადატრიალება. ყველა ნაციონალურ პარტიის წარმომადგენლებმა გამართეს თათბირი და გადასწყვეტს შეადგინონ მთავრობა ბურჟუაზიული პარტიის წარმომადგენლებისაგან.

გერმანული პრესა. 13 იანვ.

ბრძოლა სპარტაკელებთან

მეამბოხე სპარტაკელების წინააღმდეგ მებრძოლ რესპუბლიკანურ არმიის ცალკე რაზმებმა დიდი საქმე გააკეთეს. ბერლინის „გაზეთების უბანში“ სპარტაკელთა ბუდეები ბრძოლით გაანადგურებს და ყველა რედაქციები და აგრეთვე ტელეგრაფი მათ კანონიერ პატრონებს დაუბრუნეს. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი, სამწუხაროდ, დიდია,—თუმც რიცხვი ჯერ დანამდვილებით არ არის გამორკვეული. მსხვერპლის სიდიდე აიხსნება იმით, რომ სპარტაკელები ატყვევებდენ მოდარაჯეებს და გაუსამართლებლად ხვრეტდენ. ამ ნაირად მოკლულ იქმნა მთავრობის ჯარისკაცი. ასეთ საქციელს არ შეეძლო არ გამოეწვია შურის ძიების სურვილი მთავრობის ჯარში. დაპატიმრებულებში არის კარლ-ლიბკნეხტის შვილი. როგორც ამბობენ დაუპატიმრებიათ ბოლშევიკურ პროპაგანდის ხელმძღვანელნი რადეკი და სობელსონი. ხმები როზა ლიუქსენბურგის დაპატიმრების შესახებ არ გამართლდა. ის ბერლინიდან ჰამბურგში გაიქცა ავტომობილით. ამ ჟამად სპარტაკელები გამაგრებული არიან მარტო ბერლინის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში და ბიუცკოვის ლუდის ქარხანაში. სწარმოებს ბრძოლა სილეზიის და სხვა სადგურების ასაღებად. ბერლინში გამეფებულ სულიერ განწყობილებას ახასიათებს ძველი რედაქციით ხელახლა გამოსულ გაზ. „ფორვერტს“-ის წერილი ბერლინში რესპუბლიკანურ ჯარის შემოსვლის შესახებ: წყვლა-კრულვა მოშორებულია. ბერლინში შიშიანობა აღარაა. ახალგაზდა რესპუბლიკის ჯარები ჩამოვიდა ბერლინში შაბათს დილით და წესიერება უკვე აღადგინა.

დღის 1 საათზე მშვენივრად და მწყობრად რესპუბლიკანურმა ჯარმა გაიარა ქალაქის ქუჩებში. ზარბაზნებსა, ტყვიის მფრქვევლებსა და ფოლადის მუზარადებთან ერთად მოსჩანდა მრავალი მოქალაქე თოფით მხარზე. ხალხი ალტაცებით ესალმებოდა ჯარს. ეს იყო ნამდვილი ზეიმი. ლევოკის კარებთან ხალხი საჩქაროთ გადადიოდა ქუჩაზე, უახლოვდებოდა რესპუბლიკანურ ჯარს და უხვად ურიგებდა საჩუქრებს. ქალაქში სიმღერით შემოსულმა ჯარმა აუარებელ ხალხს მოუყარა თავი. ჯარის ჩამოსვლის შემდეგ საერთოდ სიმშვიდეა.

ბოლშევიკური ცნობები.

რეინის მარცხენა ოლქების ნეიტრალიტეტი.

მოსკოვი 13 იანვარი. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი).

ბერნი. 11 იან, პარიზიდან იუწყებიან· კლემანსომ განაცხადა, რომ საფრანგეთი მოითხოვს რეინის მარცხენა მხარის ყველა ოლქების ნეიტრალიზაციას.

ბერლინში.

კენიგსბერგი 8 იანვარი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ვილჰელმის ქუჩა, პოტსდამის მოედანი და ბრანდენბურგის კარებთან მდებარე ადგილები ჯარისგან გარშემორტყმულია და მოძრაობა შეჩერებულია. ვოლფის სააგენტოს შესასვლელთან რომელიც სპარტაკელებმა დაიჭირეს, დასდევს 3 ტყვიისმფრქვეველი. სააგენტოს ყველა თანამშრომელი დაითხოვეს, მაგრამ რადგან თვით სპარტაკელებმა ვერ მოახერხეს მუშაობა, მიმართეს თანამშრომლებს აღედგინათ მუშაობა. ყველა დეპეშებს სპარტაკელები კონტროლს უკეთებენ. ბერლინიდან მოსული ცნობით 8 იანვარს ღამით სპარტაკელებმა სთხოვეს მთავრობას დაიწყონ მოლაპარაკება. სურსათი და იარაღი სპარტაკის ჯარს ნაკლებათ აქვს. სპარტაკელებმა, კაპენსინის ქუჩაზე ხელთ იგდეს მთავრობის ჯარის საწყობი და სამხედრო ფურნე, მაგრამ არა აქვთ მასალა.

დიუსელდორფის შეპყრობა

სპარტაკელთა უშედეგო აჯანყების გამო ინგლისელებმა 11 იანვარს დიუსელდორფი დაიჭირეს.

პოზნანის ობერ-პრეზიდენტი

პოლონეთის უმაღლეს სახალხო საბჭომ პოზნანის ობერ-პრეზიდენტად დანიშნა პრუსია-პოლონეთის სეიმის დეპუტატი ფონ-ტრამპზგუსკი.

პოლონეთის ჯარის დაჭერა

პოლონეთის ჯარმა ტორმისკენ გაიწია, ამით საფრთხე მოელის რკინის გზაზე მიმოსვლას რუსეთსა და ბერლინს შუა.

ლატიშების საბჭოთა რესპუბლიკა

რიგაში დაარსდა ლატიშების საბჭოთა რესპუბლიკა. ბოლშევიკებმა თეთრ გვარდიელები დაამარცხეს

პეტროგრადი

ფინლიანდიიდან იუწყებიან, რომ პეტროგრადის გარნიზონში დიდი მღელვარებაა ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ფრანგული პრესა 12 იანვ.

ხალხთა ლიგის საკითხი და დრ. ზავის კომისია

პირველი საკითხი, რომელიც დაისმება მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში რეგლამენტის შემუშავების შემდეგ· იქნება აუცილებლად ხალხთა ლიგის საკითხი. ამის შესახებ კლემანსო მოელაპარაკება ბურჟუას. საფრანგეთი წინადადებას შემოიტანს დაარსდეს წინასწარი კომისია. დროებითი ზავის კომისია ტრევში შეიკრიბება 14 ან 15 იანვარს, რომ შეიმუშავონ ახლი პირობები დროებითი ზავის განახლებისთვის, რადგან გერმანელებმა არ აასრულეს წინა შეთანხმების პირობები.

ბერლინში.

ბერლინში ბრძოლა თითქოს მიწყნარდა. მთავრობა აცხადებს, რომ სპარტაკელების დამარცხების საკითხი რამოდენიმე საათისაა.

პრუსია.

ცნობაა, რომ პრუსიით უკმაყოფილოა ბავარია, ვიურტემბერგი და ბაონის საჰერცოგო. უკმაყოფილების მიზეზია არეულობის გაგრძელება, რომელიც აგვიანებს ზავს.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო ბიურო.

მთავრობის ჯარმა იანვრის 11-ს გასწმინდა. იქ იპოვეს სპარტაკელთა პარტიის და მისი მონათესავე ორგანიზაციების წევრთა. თანამოაზრეთა და ხელმძღვანელთა სიები. სპარტაკელები, რომელნიც სცდილობენ იარაღით ხელში წინააღმდეგობის გაწევას, სულ გასწყვიტეს. „ფორვერტსში“ ტყვედ ჩავარდნილთ ბედის შესახებ სამხედრო მინისტრმა პოლკოვნიკმა რეინჰარდტმა სახალხო რწმუნებულს ნოსკეს შემდეგი განუცხადა: „სიცრუეა ვითომ „ფორვერტსში“ ტყვეები დაეხვრიტათ. ის კი მოხდა, რომ „ფორვერტსის“ გარნიზონიდან რამდენიმე კაცი, რომლებმაც სცადეს იარაღით ხელში წინააღმდეგობის გაწევა, დაიხოცა.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

დობრუჯა.

დობრუჯა ბულგარელებისაგან სრულიად გაწმენდილია.

სომხები და ბერძნები.

ბოლო ხანებში ოსმალეთიდან განდევნილია მილიონი სომეხი და ნახევარი მილიონი ბერძენი, რომელთა ქონება ჩამორთმეული ან გაძარცულია.

ახალი სახელმწიფო ბალკანეთზე.

ბალკანეთის საზოგადოებრივ წრეებში განზრახულია სერბიის გამგეობით შეიქმნეს სახელმწიფო, რომელიც გადიჭიმება ადრიატიკის და ეგეის ზღვათა შუა.

იაპონიის ესკადრა შავ ზღვაზე.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ იქ ჩასული შვიდი გემისაგან შემდგარი იაპონიის ესკადრა შავ ზღვაზე გავიდა და რუსეთის ნაპირებისკენ გაემართა.

იაპონიის წარმომადგენელნი საზავო კონფერენციაზე.

„რეიტერის“ სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის დესპანები ლონდონსა და პარიზში—ინდა და მატუსი საზავო კონფერენციაზე იაპონიის წარმომადგენლებად დაინიშნებიან.

იაპონელთა ჯარი ფეოდოსიაში.

ფეოდოსიაში იაპონიის ჯარებს მოელიან.

ჩეხები.

ბელგრადის დიპლომატიურ წრეების გადმოცემით, ისეთი შეთანხმება ჰხდება სერბიისა და ჩეხის შორის, რომ ჩეხები ადრიატიკის ზღვისკენ გასავალს შოულობენ.

სევასტოპოლში.

მოკავშირეთა ჩამოსვლამდე სევასტოპოლში გამოკრული იყო განცხა-

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას!

დებები, რომელნიც მოუწოდებდნენ ებრაელთა და გერმანელების ამოჟლეტას.

— სიმფეროპოლის ციხეში მოათავსეს 60 ავაზაკი მატროსი, რომელთაც სევასტოპოლში ბართლომეს ღამე გამართეს.

ახალი სამინისტრო

ახალ სამინისტროში შედის მუშათა პარტიის 5 წევრი, არჩევნების შემდეგ კი მეექვსეც შევა.

რუმინია-უკრაინია დამოკიდებულება.

მინსკი. 10 იანვარი. უკრაინის გარეშე საქმეთა მინისტრმა რუმინიის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, სადაც ის უჩივის რუმინიის ჯარის მიერ უკრაინის საზღვრის გადალახვას და ზოგიერთ ადგილებში ჯარის დაგროვებას.

უკრაინის რკინისგზელთა ყრილობა.

მოსკოვი. იანვრის 12. (ც. კ. ა. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. 16 იანვარს კიევში მოიწვევენ უკრაინის რკინისგზელთა ყრილობას.

[illegible]

წერილი გორიდან

გორი წინად უფრო სუფთად იყო, უფრო ლაზათიანი, ვიდრე დღეს დღევანდელ თვითმმართველობის ხელში. და ქალაქის მესვეურებმა ხომ კარგად უწყიან, რომ ყოველივე უსუფთაობა ქალაქისა უფრო ვნებს იმ ნაწილს მოქალაქეებისას, რომელთა ინტერესების დაცვა მონოპოლიად გაუხდიათ და ყოველ გზა-ჯვარედინზე ამას გაჰკივიან.

მაშ რატომ ენერგიულ ზომებს არ იღებენ ქალაქის გასასუფთავებლად? კეთილ ინებონ და დაათვალიერონ სემინარიის ქუჩაზედ, ორივე მხარეს წყლის სადენი რუები, დაათვალიერონ სხვა ადგილებიც, ეზოები, კარ-მიდამონი და თავიანთ ბედნიერ თვალით ნახონ, თუ რაგვარი სისუფთავეა ქალაქში. გორის მესვეურთ უნდა მოეხსენებოდეთ, რომ მარტო ერთი მთავარ ქუჩის სისუფთავე ან ნიშნავს მთელ ქალაქის სისუფთავეს.

თუ თვით თვითმმართველობას არ შეუძლიან მოვლა-სუფთაობა ქალაქისა, მაშინ კეთილ ინებონ და სასტიკი განკარგულება გამოუცხადონ სახლის პატრონებს, რომ მათ, ყველამ, თავის კარმიდამოს მოუარონ. ნუ თუ განკარგულების გაცემის შნოც არ აქვთ?!

—

გორს რომ გადახედოთ, ერთის მხრივ თვალში გეცემათ ინტელიგენტ პირთა სიმრავლე: სამი საშუალო სასწავლებელი, მრავალი დაბალი, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი; ყველა იქ მსახურობს მრავალი პირი, რომელთაც თავი ინტელიგენტად მოაქვთ. ლაპარაკი რომ იყვეს არ შერცხვებათ და იტყვიან საქართველოს აშენებელნი ვართო, და ამავე დროს, ამოდენა ხალხს ვერ შეუნახია და ვერ აუმუშავებია წერა-კითხვის საზოგადოება; ეს სიმპატიური საზოგადოება მივიწყებულია, ყველასაგან გულ-აყრილი. მისი არსებობა დავიწყებიათ არამც თუ უბრალო წევრებს, არამედ გამგეობის წევრებსაც; ორი წელიწადია საზოგადო კრება არ მოუწვევიათ, არ გაუცვნიათ არავისთვის თუ რა ყოფაშია ამ საზოგადოების საქმეები.

საჭიროა გამგეობამ მოიწვიოს საზოგადო კრება და თუ აქვთ მოქალაქობრივი გამბედაობა,—პირდაპირ განაცხადონ, რომ მათ არ შესწევთ ძალა და უნარი საზოგადოების საქმეების გაძღოლისა და დაუთმონ გზა ისეთ პირებს, რომელთაც მათზე მეტად შესტკივათ გული.

ხოხო.

—

წერილი კავკავიდან

4 იანვარს კავკავში ბოლშევიკების მიერ დატყვევებული ჩვენი კონსული ბაჩაშვილი და ზირაქოვი იმ პირობით გაანთავისუფლეს, რომ ქართველებს დარიალის ხიდზე უნდა ჩაებარებინათ საბადლოდ თბილისში დატუსაღებული ვინმე ზუბკოვი.

ზუბკოვი ცნობილი პროვოკატორია საქართველოს რესპუბლიკის წინაშე, ზუბკოვი ყალბი საბუთებით გამომგზავრებული იყო ქ. თბილისში, ნამდვილი ქაღალდები კი ჩექმებში დაემწყვდია. მაგრამ დარიალის დარაჯებმა ეს მაშინვე შენიშნეს.

კავკავის ბოლშევიკთა მთავრობა სწერდა თბილისის თანამგრძნობელთ: „ეს არის ჩვენი სამხედრო სასამართლოს მდივანი, დიდი მებრძოლი. ამას ევალება თქვენთან მოლაპარაკება და თქვენის დახმარებით საქართველოში შფოთის და არეულობის ჩამოგდება. თქვენი დახმარება ეხლა გვჭირია, აღსდექით მანდ და დაგვეხმარეთ, ძალიან გაჭირვებაში ვართ, მაინდან გამოილაშქრეთ და ჩვენც ლარსში შევიკრებთ ძალას და დარიალზედ გამოვივლით".

აღმოჩნდა სხვა საბუთებიც დუშეთის მაზრის გლეხობაზე, რომელსაც როგორც წარსულის წლის თიბათვე მკათათვეში დღესაც დიდი იმედი აქვთ კავკავის ბოლშევიკებსა.

კალმის-წვერა.

—

ქუთაისი.

ქალაქის გამგეობა, ქალაქის ხმოსანთა არჩევნების სამზადისს შედგა.

ქალაქის მცხოვრებთა აღწერა დასრულდა კიდეც. ჯერ არ არის გამორკვეული არჩევნებში თუ რამდენმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ აღწერამ, უნაკლოდ ვერ ჩაიარა. უქმეების გამო მცხოვრებნი სოფლად იყვნენ წასული, მაგრამ კიდევ არის უფრო შეუწყნარებელი ნაკლი:

საქართველოს არა ქვეშევრდომნი პიროვნების ბარათებში იქმნენ შეტანილი. მიუხედავად იმისა, რომ აღმწერლებს უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომები თვითონ ეუბნებოდენ:

„საქართველოს დამოუკიდებლობას არა ვცნობთ და საქართველოს ქვეშევრდომობაზედაც უარს ვაცხადებო".—აღმწერლებს მაინც შეჰქონდათ სიაში.

ამით ირღვევა 1918 წლის გიორგობისთვის 22-ს დებულება და ქალაქის გამგეობას მართებს პიროვნების ბარათები გადაათვალიეროს და შესწორება დროზე შეიტანოს.

არჩევნების სამზადისს პოლიტიკური პარტიებიც შეუდგნენ.

ამ თავიდანვე სჩანს, რომ პარტიათა შორის დიდი ბრძოლა გაჩაღდება.

თვით ხალხშიც არის გამწვავებული მდგომარეობა, რაც ბუნებრივია რადგანაც თვითმართველობის ძველმა შემადგენლობამ ვერ გაამართლა ამომრჩეველთა იმედები.

სოციალისტურ პარტიებს ნიადაგი ეცლებათ.

თვით სოციალისტური პარტიების წევრებშიაც დიდი უკმაყოფილებაა ქალაქის გამგეობისადმი.

თითქმის ყოველ ოჯახში, ყოველ დღე გაიგონებთ:

— „ქუთაისი ერთად-ერთი დაუვალიანებელი ქალაქი იყო. ჩაიგდეს ხელში სოციალისტებმა, ვალით აავსეს, გამშვენიერებისათვის არ უზრუნვიათ და მცხოვრებლებს ათასნაირი გადასახადებით სულს გვწვდიანო".

ქუჩები მკვდარი ძაღლებითა და კატებითაა ავსებული. მთელი წლის დაგროვილ ნაგავს აღმოსავლეთის ნაგავს ქარი პირში გვაყრის.

ნელი.

—

ომი და სამეგრელო

ომი სომხებთან არ გვიკვირს.

მომენტმა ჩვენი რწმენა გაამართლა. მოულოდნელი არაფერი მომხდარა.

ბათომის გაკვეთილით გათამამებული სომხის ერის წარმოდგენა ქართველებზე სუსტი გამოდგა.

ჩვენი ჯარის სითამამე და რაინდობა ისტორიული სახით აღსდგა და ზღაპრულად აინთო.

გმირობის აღნიშვნა იწვევს ადამიანში აუწერელ სიხარულს, ენტუზიაზმს, იმედს და დამყარებული ასეთი გმირულ სულზე გაკაჟებული მეომრებისა, შეგიძლიან იმედიანად ელოდე საქართველოს მომავლის ბრწყინვალე სახეს.

მაგრამ ყოველივე ამასთან საჭიროდ მიმაჩნია მეორე სინამდვილის აღნიშვნა.

სინამდვილე იგი მეტად დამამწუხრებელია, შექმნილია სამეგრელოში და ეგ სიტყვა მეტად ცივად, მკრთალად ხმაურობს იმ დროს, როდესაც ისტორიულ მაგალითების განმეორებაში იმყოფება საქართველო.

ყრუა და მკრთალი მამულიშვილური მოძრაობა თანამედროვე ომის დროს.

ჩვენ გვახსოვს გურულ-გორელების გმირობა ბათომთან.

ჩვენ ვიცნობთ კახელთა სითამამეს თბილისის მახლობლად, როდესაც ქურდულად გავარდა მტრის პირველი ტყვია. მაგრამ მეგრელთა შესახებ ფაქტები სხვანაირად მეტყველებს, ჩვენ სევდით მოვიგონებთ მეგრელთა „ბოლშევიკურ" მოძრაობას და უაზრო ხეტიალს, მაგრამ ჩვენ არ ვართ მოწამენი ოდიშის ჯარისკაცთა პატრიოტულ ნაბიჯების.

ბათომის კატასტროფის დროს, ოდიში საკუთარ კატასტროფას ჰქმნიდა და დანაშაული მისი მეტად მძიმეა.

დღეს როცა საქართველო, როგორც ერთი კაცი აღსდგა, სამეგრელო არ არის ანთებული წარსულის მოგონების ძლიერებით.

„ყველგან მობილიზაცია სწრაფი ტემპით სწარმოებს. ხალხი სიხარულით გამოდის"—იუწყებიან გაზეთები.

მართალია, კანონის მორჩილებას სამეგრელოშიც ვხედავთ, მართალია მოდიან, ვისაც ითხოვენ, მაგრამ ამ მოსვლას ეტყობა სიზანტე, სიმკრთალე, სიცივე, არ არის ცეცხლი, არ არის წრფელი სურვილი საკუთარი ბედზე.

პირიქით, აქ თითქოს ჰხედავთ, რომ ჯარისკაცის სურვილია გაგრძელდეს მზადება, ვიდრე მალი სვლა ბრძოლის ველზე და ამიტომაც არის რომ ომის პროცესში მეგრელთა ხსენება აღარ არის.

ასეთია სინამდვილე. ფაქტი მეტად დამამწუხრებელი.

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ წარსულში ქებული ოდიში აწმყოში ღალატობს ისტორიის მართალ სიტყვას, მაგრამ ილლიუზიებით სინამდვილის გამართლება შეუძლებელია და არც დროა.

ჩვენ მხოლოდ მოვუწოდებთ ოდიშის შვილებს, კვლავ ძველებურად მოეშველონ სამშობლო ქვეყანას, რომლის განადგურების სურვილი, არამც თუ ჩვენზე ძლიერს, არამედ უძლურსაც კი ჰქონია.

ჩვენ კიდევ იმედი გვაქვს, რომ წარსულში მოხვეჭილ სახელს აწმყოში გაამართლებენ ოდიშის შვილები.

მ. ღვამიჩავა.

—

დიდი ლიახვის ხეობა

(მოწერილი ამბავი)

აქეთ ქურდობა მეტად გახშირდა. რკინის ბერკეტებით შეიარაღებულ ქურდებს ვერავითარი მაგარი საკეტები ვერ უმაგრდება. მიჰყავთ პირუტყვი საქონელი, გააქვთ სახლებიდან და წისქვილებიდან ჰირნახული, ავეჯი და ყოველივე რაც კი მოიპოვება. ს. თამარაშენში სალაბაძეს მოჰპარეს ბოსლიდგან ცხვარი. ეს იყო ქრისტეშობისთვის მეორე ნახევარში. ს. ქურთაში ოქრო მაისურაძეს გაურღვიეს სახლის უკანა კედელი, და წაიღეს ქვაბები, ლოგინი, ლობიო ჰირნახული დასტოვეს ეს ღარიბი კაცი ყველაფრით უქონელი. იმავე კვირებში იქვე გასტეხეს სანდრო ლევანიშვილის წისქვილი და წაიღეს მისი ორი ტომარა სიმინდის ფქვილი. ორიც სხვა საწყალი კაცის საფქვავი წაიღეს, ერთი ტომარა სიმინდი სასურსათო სამინისტროსი, რომელიც როგორც სხვაგან, ისე ამ წისქვილში მოკრიფა სასურსათო სამინისტროს რწმუნებულმა, წისქვილის პატრონს ეს მინდიც ასანაზღაურებელი გაუხდა. იმავე ღამეს გასტეხეს ორი საბძელი და სათესლე პური და ლობიო სულ გაზიდეს რადო ბასიშვილისა და ვასო კაჟაშვილისა, ჯერ ცხენებით მიაქვთ და მერე კვალი იკარგება.

ს. ქურთაში ვერა და ვერ მოახერხეს მუდმივი ყარაულების დაყენება და ამიტომ დაიუკაცურეს ეს სოფელი. ჩივის ხალხი უპატრონობას. ამავე ს. ქურთაში ს ლევანიშვილსვე გაუტეხეს დაკეტილი კლიტით ბოსელი და მოჰპარეს ძვირფასი ჯიშის ძროხა, მოსაგები. კვალი ს. მსხლებში მიიტანეს. ძროხა ვერ აღმოაჩინეს.

ს. დოდოთში (ოსების სოფელია) ერთ საწყალ ქვრივ დედაკაცს ეწვივნენ თავხედი ქურდები, ორი ოსი, ორი ქართველი, მოსთხოვეს ვახშამი, დაუკლეს თხა, მოახარშვინეს, ჭამეს, მერე დაირეკეს რაც საქონელი ებადა და წაასხეს. დაეკარგა. მეტი მაგალითების მოყვანა რაღა საჭიროა. ყველამ კარგათ იცის ქურდები ვინ არიან. ხალხში ხმა დადის რომ შეიარაღებულ ოსებს კავშირი აქვთ შეიარაღებულ ორწმელ ქართველ ყაჩაღებთან, რომლებიც სახლში აღხეინათ არიან, და მთელი ეს ლიხვის ხეობა ხელში უჭირავთ და მათი შიშით ძაგძაგებსო. ამ ხეობაში მობილიზაცია სწორედ ამიტომ რიგიანათ ვერ წავიდა, და ყველა არ გამოცხადდა თავის ჯარის ნაწილში. თითო სოფლიდგან ორი ან სამი თავგამოდებული ოჯახის შვილი წავიდა ჯარში. ცრუ ხმებს და პროვოკატორობას დიდი გასავალი აქვს დღემდის და წასულ საჯარისკაც ბიჭებს უკან აბრუნებდნენ. ხალხს დამრიგებელი და გამამხნევებელი არავინა ჰყავს. ინტელიგენცია ჯერ არავინ იყო აქ და ვინც იყო ისინიც გაშორდნენ აქაურობას. დარჩნენ მღვდლები, რომლებიც მარტო ტაბლებზე დადიან და ეგ არის. ლიახვის სათავეებში ოსების მღვდლები ხომ სულ გადადგნენ მღვდლობიდგან მთელ მთაში სამი მღვდელი და დარჩა. ჟუწოვი, ხანიკაევი და მათი დეკანოზი, ბეგიზოვი, რომლებიც წრეულს მთებში საქონელს აძოვებდნენ და თივას თიბდნენ. ერთმა მაღლა დოვლენის მღვდელმა გორში სასალახო და საყასბო გახსნა და საკლავს ხოცავს და ვაჭრობს. ხან ჩოხით დადის ხან ანაფორით ხან ორივე ერთად აცვია. ჩივის გაჭირვებას.

ახლად ნაკურთხ ქართველ მღვდელმა, რომელიც ს. ძლევიჯვარში მიიწვია სოფელმა მღვდლად, ვანო სამადალაშვილმა ბრეთსა და ძლევიჯვარს შუა სამმა ოსმა გაძარცვა. წაართვა ფულები და ერთი კურტკა. გაძარცულებმა იმავე დღეს ქარელის ბორანზე მოასწრეს, იცნეს და დაატუსაღებინეს, ოქმი შეუდგინეს. დარჩნენ მორწმუნე ძლევიჯვრელები უღვდლოდ. ავადმყოფობამ სახადმა და „ისპანკამ" მუსრი გაავლო ამ ხეობას.

ცხინვალში, როგორც ბაზარ ადგილს, ყველაფერი საჭირო საგნები და საქონილი ბლომად შემოდის, მაგრამ დიდი სიძვირეა აუარებელი შეშა შემოდის მაგრამ ათ თუმან ნაკლებ აქაურ პატარა ურემს შეშას ვერ იყიდით, ტყის მცველები თითო ურემ შეშაზე თითო თუმანს შალბას ართმევენ და არავითარ ქაღალდს არ აძლევენ. ხალხი იყვედრება: ტყეშიც გვართმევენ საჟენზე ექვს შვიდ თუმანს და აქ რაღათ გვახდევინებენო, ან ვის ხელში მიდის ეს შალბაში ან რამდენი მიდისო, ტყეები ძალიან გაიჩეხა.

ს. ქემერტის საზღვრებში შეიჭრნენ ზალდიხეობის ოსები და სასახლე ადგილებისთვის ასწმინდეს ტყე.

მაგრამ ყველა ეს სიმპატიური დაწესებულებები დღეს კარებ გამოკეტილები არიან, რადგან მათი სულის ჩამდგმელი ცხინვალის ამბების დროს ამ მხარეში აკლებული და გაძევებული იყო. პირველ ქრისტეშობისთვიდგან სასწავლებლის კარები გააღო ადგილობრივმა მღვდელმა ს. ბასიშვილმა, რომელიც ხან მასწავლებლობს, ხან ღვდლობს და ისე ერთი ხელით ორ კურდღელს იჭერს, სულ რვაოდე ბავშვს ასწავლის. ბანკის კარები კი წელიწადი და ოთხი თვეა დაკეტილია, ზოგიერთს ჰგონია, რომ რევოლიუციის ძალით წაღებული ფული მათ ეკუთვნის. ეს ფულები კი სულ მთლად ხალხისგან არის მიბარებული. საფეიქრო სახელოსნო კარგად იყო მოწყობილი, ხუთი მშვენიერი საქსოვი დადგა თავის ყოველივე მოწყობილობით, ორი ფუთი მატყლი, ორი ფუთი ნართი, ძვირფასი სამღებრობრი და ქსოვილები, ყველა მიყრილ მიტოვებულია და რწილისგან და მტვრისგან გაფუჭებული. მასში მომუშავე ქალები რიცხვით ექვსი სული უსაქმოთ ჩამოშორებული არიან, რომელთაც შეეძლოთ სულ ადვილათ თვეში ექვსასი არშინი ქსოვილი მოემზადებინათ და ამ ხეობის ხალხს შემოსავდა კიდეც, მაგრამ მღვდლისგან შექმნილ ინციდენტის გამო, რომელმაც ჩამოაშორა ამ სახელოსნოს სულის ჩამდგმელი ეს სასარგებლო საქმე ჩამქრალია დღეს. სამრეწველო კომიტეტმა, რომელმაც შარშან აქ ოკუნოვი სომეხი და სამი მისი ავანჩავანი გამოგზავნა, სარევიზიოთ, სულ დაცალეს საქმე და მიაძინეს. დროა რომ ჩვენ სასარგებლო საერთო საქმეებში არ ერეოდნენ უცხო ელემენტები. რა საქმეს გააკეთებდა ჩვენთვის ბაქოელი სომეხი ოკუნოვი და რუსი ინჟინერი და ხუდოჟნიკი რომელიც აქ იყვნენ ამ სახელოსნოსთვის გამოგზავნილი მოსაწყობათ?

ეხლა იმედია ვასილ რცხილაძე გააცოცხლებს ამ საქმეს.

ფოსტის მიმოსვლა ვერა და ვერ მოეწყო რიგზე, თვით საფოსტო მმართველობას არ მოეპოვება არც ეტლები და არც ცხენები. წერილებს ეზიდებიან შემთხვევით ეტლით და გამცილებელ ფოსტის მოხელეს ახდევინებს მეეტლე 60 მანეთს. ეხლა მისი დღიური ხარჯიც და ფოსტას მე მგონი ზარალი მოაქვს, წინედ კი წელიწადში სამი მილიონის ბრუნვა სწარმოებდა და თვეში ხუთას ექვსას თუმანს წმინდა მოგებას იძლეოდა ცხინვალის საფოსტო განყოფილება. ფოსტის ზიდვას ქერისა და მოსამსახურის სიძვირის გამო არავინ კისრულობს. გარდა ამისა ისეთი გაფუჭებული გზა არის კარალეთიდგან გორამდის რომ ვერავითარი მაგარი ურემი და რკინა ფოლადის ეტლი ვერ გადარჩებიან დამტვრევას. მიკვირს ადგილობრივი მოხელეების ასეთი უყურადღებობა. სულ ერთი დღე ორი კაცის საქმეა ამ გზის მოვლა, პატარა ფშანს დაწყვეტა უნდა, და მეტი არაფერი გაშრება გზა და ისეთივე მშვენიერი გზა გავა, როგორც კარელეთსა და ტყვიას შუა არის. მუშაობდნენ ოროლი ავტომობილები მაგრამ ამ გზაში ჩაიმტვრნენ. თითო მგზავრი ხდილობს ფაიტონში ათ, თორმეტ თუმანს ცხინვალამდის, და უნდებიან ექვს-შვიდ საათს მგზავრობას.

აქაური ხალხი მეტად დააღონა სანდრო მაისურაძის ბრძოლის ველზე დაღუპვამ ეს აქაური შვილი იყო, და ამან პირველად შემოიტანა ამ ხეობაში ეროვნული შეგნება, მანამ კი სიტყვა ქართველის თქმა და საქართველოსი აკრძალული იყო. ს. ცხინვალში მოასვენეს და დაკრძალეს შაქრო კასრაძე და ჰასან ბეგი, ბორჩალოელი თათარი, რომელიც აქ შემოხიზნული იყო, ორივე ბრძოლის ველზე თავი დასდეს, აგრეთვე მოასვენეს იმავ ბრძოლის ველზე თავდადებული ს. კახნიაშვილი.—კეხველი.

ა. დ.

კიდევ საბებიო ინსტიტუტის გარშემო.

გაზეთ „საქართველოს" 242 ნომერში იყო მოთავსებული ექ. ე. შალამბერიძის წერილი საბებიო ინსტიტუტზე. ამ წერილში ავტორი აღნიშნავს, რომ ხსენებულ ინსტიტუტის გაეროვნებას არა თუ ხელს უწყობს ამ დაწესებულების სათავეში მდგომი პირი, არამედ განზრახ აფერხებს ნაციონალიზაციის განხორციელებას და ინსტიტუტი უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა. ჩვენ ქვემორე ხელისა მომწერნი ქართველი მოსამსახურეები ამ ინსტიტუტისა ვადასტურებთ რა ექიმ შალამბერიძის მიერ ზემო აღნიშნულ გარემოებას ვაცხადებთ საჯაროდ, რომ ხსენებულ ინსტიტუტის სათავეში მდგომი პირი ყოველ თავისუფალ ადგილზე საგანგებოდ იწვევს უცხო ტომის პირებს იმ დროს, როდესაც ქართველთა შორის ბევრი შესაფერი მთხოვნელები არიან.

ხელს ვაწერთ: **სარდ. პარჯანაძე** ნესტ. გზიავა, აკ. ნადირეიშვილი, მიხა ქუთათელაძე, [illegible] დავითაია, ია. დავითაია, მრ. [illegible] ბერია.

თავდაცვის ფონდი

ს. დოესი (ქართლი) ადგილობ
კომისრის და მღვდლის თაოსნო
თავდაცვის ფონდისთვის შემოწ
ლება გამოცხადდა. მოსახლეობა
ნურჩევლად ეროვნებისა ალტაცე
შეეგება ამ განცხადებას. შემომწ
ველნი: ტურაშვილი 50 მ. მღ.
ხეილ ლუკაშვილი ერთი ჩანახი ხ
ბალი ნიკო ციციშვილი 10 მ. სო
თა მღ. ტერ თადეოზ ასატუროვ
მ. მოსე ხაჰპურიძე 5 მ. წყალ
ხეჩიკაშვილი 5 მ. ოსია ხეჩიკაშ
5 მ. ისაკ კოდანაშვილი ერთი ჩა
ხორბალი, მიხ. უხურგუნაშვილი
ჩანახი ხორბალი, ბაიდაური ორი
ნახი ფქვილი სიმინდისა, ბატონკა
ჩიკაშვილი 3 მ., სოლ. გიგილაშ
6 მ., დარო გეგელაშვილისა 5 მ.,
გა ხორგუაშვილი 5 მ., შაქრო
ბუაშვილი 5 მ., ხორგუაშვილი 10
თაბუა ხორბალაძე 10 მ., ვანო
ბუაშვილი 10 მ., ვანო შაქარაშვ
3 მ., მიხა აბრამიძე 3 მ.. და სხ. და
პირებმა სამ სამი მანეთი. ფულად
გროვდა 221 მანეთი და 95 კ. ა
სიმინდის ფქვილი 12 ფ. და 34
771 მანეთისა, ხორბალი 3 ფ. 27
441 მანეთის პურის ფქვილი 3 ფ.
გ. 355 მ. დასაფქვავი სიმინდი 5
22 გირ. 277 მ. 50 კაპ. ჰინახუ
შეადგენს 1844 მ. 50 კ. ფულად
ჰინახულით 2066 მ. 45 კ. შემო
რულ იქმნა ერთი ტომარა სხვა
სხვა პირთაგან ვაშლის ჩირი და
რჩხელები. საზოგადოებამ უსუ
ჯარს და მათ წინამძღოლთ დღეგრ
ლობა და გამარჯვება და შემდეგ
თვისაც დახმარება აღუთქვა.

დოესის კომისსარი **გიორგი კო**
ნაშვილი, მღ. **მიხეილ ლუკაშვ**
დოესის სომეხთა მღვდელი **ტერ**
დეოზ ასატუროვი.

ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებრ
ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დ
დგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000,000 მანეთის 5 პროც
ტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ ერთი წლის
დით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპონებად: 5,00
1,000, 500, 100 და 25 მან.

თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5,000 მან.
1,000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ რაი
უნდა ჩაიწეროს თბილისის ხაზინის დავთრებში.

აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუ
ლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.

ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალის დასაფარავ
და აგრეთვე საწინდრათაც.

ვალდებულების შეძენა შეიძლება

მხოლოდ ნაღდ ფულად

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკშ
რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში დასაკრედიტო კოოპერატ
ვებში.

10—94—2

ქა [illegible] ქ [illegible]

შრომის ბირჟ

ამით აცნობებს ყველა საზოგადო და კერძო დაწეს
ბულებებს ქ. თბ. ბანკებს კანტორებს და სხ.,

რომ ბირჟაში ჩაწერილია აუარებელი რიცხვი უმუშევართა; სხვა და სხ
გვარ პროფესიებისა. რომელნიც იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში სამ
შაოს უქონლობით.

შრომის ბირჟა იმედოვნებს, რომ ყველა მოთხოვნილებები, როგორ
მუშებზე ისე ყოველგვარ მოსამსახურეებზე შარშანდელად გმოგზავნილ ი
ნება შრომის ბირჟაში, რაც მოგვცემს საშვალებას მცირედ მაინც შევამც
როდ უმუშევართა რიცხვი. შრომის ბირჟა ჰგზავნის უმუშევართ სამუშაოზ
ცდილობს სავსებით დააკმაყოფილოს დამქირავებლების მოთხოვნილებანი დ
უგზავნის მათ საჭირო მუშებს. გასულ წელს ბირჟამ ადგილი უშოვნა 4,0
უმუშევართ, რომელთაც სავსებით შეასრულა დამქირავებლების მოთხოვნ
ლებანი; რის გამო ბირჟამაც დაიმსახურა ერთგვარი სიმპატია, როგორ
კერძო დამქირავებლებს, აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებების მხრივ.

შრომის ბირჟაში მოთავსებულია „ცნობების მიმწოდებელი ბიურო",
რომელიც იძლევა ყოველგვარ ცნობებს „ხელფასის შესახებ", უმუშევართ
რიცხვს, ცნობებს სხვა და სხვა კატეგორიის შესახებ და სხვა.

შრომის ბირჟა უფასოდ აწარმოებს საქმეებს, როგორც უმუშევართათ
ვის ისე დამქირავებლებისათვის.

ბირჟას შეგიძლიათ მიმართოთ როგორც წერილობრივ, ისე ტელ
ფონით.

შრომის ბირჟა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. შუადღის 3 ს. გარდ
კვირა და უქმე დღეებისა.

მისამართი მადათოვის ქუჩა № 11, სახლი ზუბალაშვილისა, ყოფ
„ლონდონის" სასტუმროში, ტელ. 8—12.

შრომის [illegible] უფასოდ აწარმოებს საქმეებს, როგორც
უმუშევართ თვ [illegible] დამქირავებლებისათვის.

4—2

ქართულ დრამატულ სტუდიაში

განახლებულია მიღება ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა (განსაკუთრებით ინტელიგენ
ტებისა). ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე 11-დან 2 საათამდე ქართული კლუ
ბის სცენაზე.

სტუდიის ხელმძღვანელი **გ. ჯაბადარი.** ◆ ადმინისტრატორი მ. ხერხეულიძ

(6—92—2)

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გამოცდის შესახვევი № 1.